ალბანეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა მხარდაჭერის წერილი გაუგზავნა ტულჩინისა და ბრაცლავის მიტროპოლიტ იონათანს

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 11.08.2023. *2023 წლის 11 აგვისტოს, ტირანისა და სრულიად ალბანეთის მთავარეპისკოპოსმა, უნეტარესმა ანასტასიამ* ***წერილი*** *გაუგზავნა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქს, ტულჩინისა და ბრაცლავის მიტროპოლიტ იონათანს, რომელშიც მხარდაჭერა გამოუცხადა მას მიმდინარე მძიმე განსაცდელებში.*

როგორც ადრე იყო გაცხადებული, 7 აგვისტოს ვინიცის საქალაქო სასამართლომ მეუფე იოანათანის წინააღმდეგ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა; გაყალბებული ბრალდებებით მას ***5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.*** *9 აგვისტოს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა*

*პატრიარქმა კირილმე **მიმართვა** გაუგზავნა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურებს, რიგ რელიგიურ მოღვაწეებს და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს,სადაც ატყობინებდა ამ მღვდელთმთავრის დევნის ამბავს.*

მიტროპოლიტ იოანათანისადმი ალბანეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრის წერილში ნათქვამია:

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, ქრისტესმიერ ძმაო,

ჩვენ ღრმა მწუხარებით ვაკვირდებით თქვენი საყვარელი მაღალყოვლადუსამღვდელოესობისა და თქვენი რჩეული სამწყსოს მტკივნეულ განსაცდელებს.

ჩვენ ვიზიარებთ თქვენს ტანჯვას და, ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში, ვამოწმებთ ბოროტებას მართალი მართლმადიდებელი მღვდელმსახურების, ღვთისმოსავი ადამიანების, ასევე უკრაინის ცნობილი სიწმინდეების წინააღმდეგ ჩადენილი სისასტიკის შესახებ.

ჩვენ ძმურად ვლოცულობთ, რომ ღმერთმა გაგაძლიეროთ, რომ *გამოაჩინოთ თავი თქვენი, ვითარცა ღმრთის მსახურმა, მრავლის თმენაში, ჭირში, სიმძიმილში, ვიწროებაში, გვემაში, დილეგში* (2 კორ. 6:4-5).

ჩვენი ფიქრები და ლოცვები განუწყვეტლივ თქვენთანაა, რათა ახალმოწამეთა დასში გაწევრიანებით, თქვენ ასევე შეძლოთ წინააღმდეგობა გაუწიოთ მიმდინარე აბსურდულ დევნას*სული წმიდაში, უპირფერო სიყვარულში... ჭეშმარიტების სიტყვაში, ღვთის ძალაში, თითქოს უცნობნი, მაგრამ ცნობილნი; თითქოს მომაკვდავნი, მაგრამ ცოცხალხი; თითქოს დასჯილნი, მაგრამ სიკვდილს გადარჩენილნი* (2 კორ. 6:6-9).

მაღალი პატივისცემითა და გულწრფელი ქრისტესმიერი სიყვარულით,

+ ანასტასი,

ტირანის, დურესისა და სრულიად ალბანეთის მთავარეპისკოპოსი

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90621/